

საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები¹

| საქმის ნომერი | წელი | კვალიფიკაცია | გადაცდომის (გადაცდომების) მოკლე შინაარსი | დაკისრებული სახდელი |
|---------------|------|--|--|---|
| 003 | 1959 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება) | გამოძიების მოსამართლემ 1957-58 წლებში საკუთარი პერსონალური მიზნებისთვის გამოიყენა სისხლის სამართლის საქმეზე დაყადაღებული თანხა 2 206 000 ფრანკი, თუმცა მან ეს თანხა მოგვიანებით მთლიანად დააბრუნა | იმულებით პენსიაში გაშვება საბჭომ შემამსუბუქებელ გარემოებად გაითვალისწინა მათ შორის ის, რომ მას ჰყავდა 5 შვილი, ჰქონდა კარგი წარსული და სწრაფად აანაზღაურა ზიანი |
| 006 | 1960 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა (ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება) | სასამართლოს თავმჯდომარე არ ცხოვრობდა მის სამუშაო ადგილას და იქ მიდიოდა მხოლოდ სხდომების ჩასატარებლად. იმავეს აკეთებდნენ სხვა მოსამართლეებიც მისი მიბამვით. კვირის ზოგიერთ დღეს თავმჯდომარე საერთოდ არ იმყოფებოდა სასამართლოში, ის ასევე არ წერდა გადაწყვეტილებებს, არამედ კანცელარიას ავალებდა მათ შედგენას ზედაპირული და მოკლე მითითებების საფუძველზე | პოსტის შეცვლა (სანქციების შესახებ იხ ¹) |
| 009 | 1961 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის ნორმების დაცვის ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება) | საბჭომ დადასტურებულად ჩათვალა რომ საპატიო მაგისტრატმა საკუთარ ბინაში რამდენჯერმე მიიღო 15 წლის გოგონა, რომელიც მთლიანად გაშიშვლდა მის თვალწინ, თუმცა არ დამტკიცდა რაიმე გარყვნილი ქმედება მის მიმართ | არ იქნა გამოყენებული საპატიო ტიტულის ჩამორთმევა სანქციის სახით. საბჭომ შემამსუბუქებლად ჩათვალა მანამდე ამ მოსამართლეს ჰქონდა კარგი რეპუტაცია, და რომ მას პროვოკაცია მოუწყო თავად არასრულწლოვანმა, რომელიც იყო მსუბუქი ყოფაქცევის |

¹ შედგენაზე და განზოგადებაზე პასუხისმგებელი - კახა წიქარიშვილი (საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრი)

| | | | | |
|-----|------|--|---|--|
| 010 | 1961 | საკუთარი კოლეგების პატივისცემის ვალდებულების დარღვევა - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება) | გამოძიების მოსამართლემ პროკურორისგან მოიპოვა 27 დასკვნითი შუამდგომლობა და შეწყვიტა 27 სისხლის სამართლის საქმე, ისე რომ არ ჩაუტარებია რეალური გამოძიება (ან საქმე შეწყვიტა საქმეში არსებული გამამტყუნებელი მტკიცებულებების მიუხედავად) | საყვედური პირად საქმეში შეტანით საბჭომ გაითვალისწინა მისი დადებითი საქმიანობა და სამხედრო დამსახურებები |
| 011 | 1962 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (თავშეკავების ვალდებულება) | ქონების სასყიდლიანი ჩამორთმევის საქმეზე მოსამართლემ წინასწარ განუცხადა მხარეს, რომ ის მნიშვნელოვან თანხას დააკისრებდა სახელმწიფოს მის სასარგებლოდ (რაც განახორციელა კიდევ თავისი გადაწყვეტილებით); არ დადასტურდა ბრალდება რომ მოსამართლემ საჯაროდ გააკრიტიკა ხელისუფლების ორგანოები | არ შეეფარდა სანქცია ბრალის მნიშვნელოვანი ხარისხის არ არსებობის გამო |
| 013 | 1962 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | რეგიონში მივლინებული მოსამართლემ ეწეოდა ხარჯებს, რომლებიც ბევრად აღემატებოდა მის შემოსავლებს. ამ მიზნით აიღო ვალები, რომლებსაც ვეღარ ისტუმრებდა. ის ასევე ცხოვრობდა საყვარელთან ერთად, რომელიც კოლეგებს წარუდგინა როგორც მისი მეუღლე. თავისი მეუღლე და 6 შვილი დატოვა ფინანსური დახმარების გარეშე 1 წლის განმავლობაში | უფლებამოსილების შეწყვეტა პენსიის გარეშე |
| 014 | 1963 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, სხდომების ჩატარების ვალდებულება, კანონის დაცვის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | გამოძიების მოსამართლეს თავმჯდომარის გაფრთხილებების მიუხედავად ხშირად აჭიანურებდა საქმისწარმოებას. ხანგრძლივ პატიმრობაში ჰყავდა დაუკითხავი ბრალდებულები, აგვიანებდა გადაწყვეტილებების დაწერას. | უფლებამოსილების შეწყვეტა პენსიის გარეშე |
| 016 | 1964 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლე მსჯავრდებულ იქნა ქურდობისთვის (თავის თანამშრომლებს მოპარა 900-2500 ფრანკი). განაჩენს მიეცა პრეიუდიციული ძალა დისციპლინურ საქმეზე | თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეჩერებით |

| | | | | |
|-----|------|---|--|---|
| 017 | 1964 | <p>კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები, ოლქში ცხოვრების ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება)</p> | <p>სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის შესენებების მიუხედავად მოსამართლე არღვევდა შესაბამის ოლქში ცხოვრების ვალდებულებას (რომელსაც ადგენს მაგისტრატურის შესახებ ორდონანსის მე-13 მუხლი). სასამართლოში მიდიოდა კვირაში მხოლოდ ორჯერ სხდომების ჩასატარებლად. კვირების დაგვიანებით იძლეოდა გადაწყვეტილებებს და დაგვიანებით აწერდა ხელს სხდომის ოქმებს (წაუკითხავად). დგებოდა სხდომებზე და ეთათბირებოდა პროკურორს და სხვა მონაწილეებს სხდომის გადადებასთან დაკავშირებით. ხშირი მოგზაურობის გამო იდგა გზაში და აჩერებდა ავტომანქანებს. ასევე სამსახურის თანხებით შეიძინა 185 ფრანკის ღირებულების ავეჯი პირადი სარგებლობისთვის</p> | <p>პოსტის შეცვლა</p> |
| 018 | 1965 | <p>მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები)</p> | <p>გამომიების მოსამართლემ ორჯერ არ განაახლა წინასწარი პატიმრობის ბრძანება სისხლის სამართლის საქმეზე (კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ), რითაც გამოიჩინა მძიმე დაუდევრობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით (საბჭომ ასევე გაითვალისწინა მისი მძიმე მატერიალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა)</p> |
| 019 | 1965 | <p>პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ აიღო ვალები კერძო პირებისგან, რომლებსაც ვერ ისტუმრებდა; მან ასევე სურათები გადაუღო შიშველ ქალებს და სხვებს აჩვენა; დაამყარა ახლო ურთიერთობა საეჭვო რეკუტაციის მქონე პირებთან; აჩერებდა მძღოლებს და თხოვდა მათ საბუთებს</p> | <p>პოსტის შეცვლა</p> |
| 020 | 1966 | <p>დამოუკიდებლობის დაცვის ვალდებულების დარღვევა - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (თავშეკავების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ ფსევდონიმის გამოყენებით ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მიუთითებდა რომ სხვა მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ნაკარნახევი იყო იუსტიციის მინისტრის მიერ და ეს გულისხმობდა სასამართლოს „დასაფლავებას“. საბჭომ ჩათვალა, რომ ამ სტატიით მან პატივი არ სცა სხვა მოსამართლის დამოუკიდებლობას</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|---|
| 021 | 1969 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომი პირების და კოლეგების მიმართ) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | (სხვა ბრალდებებთან ერთად) მოსამართლემ არასათანადო ზედამხედველობა განახორციელა კანცელარიაზე; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საბაზით უნებართვოდ დატოვა სამსახური; თავის კოლეგას მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე უპასუხა უპატივცემულო ფორმით წერილობით | საყვედური პირად საქმეში შეტანით |
| 023 | 1970 | მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | სასამართლოს პლენუმმა არასრულწლოვანთა მოსამართლის გარდაცვალების შემდეგ მოსამართლეს დააკისრა არასრულწლოვნების მოსამართლის ფუნქციების დროებითი შესრულება. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მისი დატვირთულობის, ასევე სპეციალური განათლების არქონის გამო | პოსტის შეცვლა |
| 024 | 1970 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | გამოძიების მოსამართლემ გააჭიანურა მრავალი საქმე, რომელთაგან მრავალი არ შეწყვიტა იმის მიუხედავად, რომ მათზე ხანდაზმულობის ვადა იყო გასული. მან თავი იმართლა იმით, რომ კონცენტრირებას აკეთებდა უფრო სასწრაფო და საპატიმრო საქმეებზე. ის ასევე დაესწრო ყოფილი პატიმარი მსჯავრდებულის მიერ ორგანიზებულ კოლექტიურ სადილს, რომლის ხარჯებიც ამ უკანასკნელმა მოპარული ჩეკის გამოყენებით გადაიხადა | საგამოძიებო უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |
| 026 | 1970 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლე დაჯარიმდა ვალუტის გაცვლის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის გამო. შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვალა ის, რომ გულწრფელად ითანამშრომლა შესაბამის ორგანოებთან დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში | რანგის ჩამოქვეითება |
| 027 | 1971 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (სხდომების ჩატარების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | მოსამართლემ ეჭვქვეშ დააყენა მისი მივლინების კანონიერება და უარი თქვა საქმეების განხილვაზე, რამაც გამოიწვია საქმეთა განხილვის გადადება | პოსტის შეცვლა შემამსუბუქებელ გარემოებად იქნა მიჩნეული მოსამართლის დატვირთულობა |

| | | | | |
|-----|------|--|--|---|
| 028 | 1972 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა იუსტიციის მიმართ - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლეს რომელიც ფლობდა მცირე წილს სამეწარმეო ორგანიზაციაში შესთავაზეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა (სავარაუდოდ მისი თანამდებობის გამო), რაზეც დათანხმდა. მან მიიღო ანაზღაურება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობისთვის, თუმცა როდესაც ეს ფაქტი გასაჯაროვდა, ის გადადგა წევრობიდან | საყვედური პირად საქმეში შეტანით საბჭომ შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვალა ის, რომ მან თავი გამოიჩინა ომის დროს, ასევე ჰქონდა რთული ოჯახური პირობები |
| 029 | 1972 | თავაზიანობის ვალდებულება (მხარეების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლე მხარეებისაგან რეგულარულად ითხოვდა კანონით გაუთვალისწინებელ მოსაკრებლებს; მოსამართლემ საკუთარი განჩინების საფუძველზე მიკუთვნებული თანხა ისესხა მხარისგან | თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე |
| 031 | 1972 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მესამე პირების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა, გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განხორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | მოსამართლე ხანგრძლივი დაგვიანების შემდეგ წერდა სასამართლო გადაწყვეტილებებს და მხოლოდ მხარეთა დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე; მას ასევე მოუვიდა პირადი კონფლიქტი ტურიზმის სააგენტოსთან (ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით) რომლის დროსაც გაცდა მოსამართლისთვის შესაფერისი ქცევის ფარგლებს | პოსტის შეცვლა |
| 032 | 1973 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება) | (სხვა ეპიზოდებთან ერთად) სხდომის ოქმში იმ მოსამართლის მოხსენიება, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა არც საქმის განხილვაში, არც თათბირში | პოსტის შეცვლა თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევა |
| 033 | 1974 | სამოსამართლო ფიცის დარღვევა (გამომიების საიდუმლოების დაცვა) | გამომიების მოსამართლემ დაარღვია წინასწარი გამომიების საიდუმლოება: ჟურნალისტს მისცა დოკუმენტებზე წვდომისა და საგამომიებო ღონისძიებებზე დასწრების უფლება, რასაც შედეგად მოჰყვა წინასწარი გამომიების მასალების გასაჯაროება | საგამომიებო უფლებამოსილების ჩამორთმევა |

| | | | | |
|-----|------|---|--|--|
| 035 | 1975 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | მოსამართლემ მრავალ საქმეზე დროულად არ განიხილა შუამდგომლობები ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე, ხოლო ერთ საქმეზე არ განიხილა შუამდგომლობა საპატიმრო ვადის გაგრძელების თაობაზე და მრავალთვიან უკანონო პატიმრობაში ამყოფა ბრალდებული | საგამოძიებო უფლებამოსილების ჩამორთმევა |
| 040 | 1980 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლემ თავისთან შეიფარა ტოქსიკომანები და სისხლის სამართლებრივად მსჯავრდებული პირები; ასევე დაეხმარა ორ მათგანს მათ პოლიციის ძებნისგან თავის დაღწევაში | პოსტის შეცვლა - არასრულწლოვანთა მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა |
| 044 | 1981 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის დარღვევა) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (თავშეკავების ვალდებულება) | მოსამართლემ სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა (წერილით სადაც დაუპირისპირდა მას სასამართლოს მართვის საკითხებში) უხამსი და უპატივცემულო ტერმინოლოგიით. რადიოში ინტერვიუს მიცემის დროს გამოთქვა მოსაზრება მის წარმოებაში არსებულ საქმეზე; განიხილა საქმე და მიიღო გადაწყვეტილება (მხარის მომართვის გარეშე) საქმეზე რომელზეც მას უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება (საბჭომ დაადგინა, რომ მართალია სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ სააპელაციო და არა დისციპლინური წესით, მაგრამ ეს პრინციპი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია მოსამართლე უხეშად და სისტემატურად ცდება თავისი უფლებამოსილების, ან მისადმი მხარის მიმართვის ფარგლებს. შესაბამისად ეს არ არის უბრალო შეცდომა) | თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე |
| 045 | 1983 | მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა | მოსამართლე არ დაემორჩილა სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელმაც მას 6 თვით შეუჩერა საკუთარი შვილის მონახულების უფლება | პოსტის შეცვლა |
| 046 | 1986 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა- პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | სასამართლოს თავმჯდომარემ კანცელარიის არქივიდან ამოიღო დალუქული ნივთმტკიცებები: ტელევიზორი, მოსასმენები, კამერა, პროექტორი, ვიდეო-მაგნიტოფონი, რომლებსაც იყენებდა პირადი სარგებლობისთვის. (საბჭომ ხაზი გაუსვა იმას, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს კანცელარიის გამართული ფუნქციონირება და სხვას უნდა მისცეს გასაკიცხი ქმედების მაგალითი) | იმულებით პენსიაში გაშვება |

| | | | | |
|-----|------|--|--|--|
| 049 | 1986 | მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა- პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლემ დაამყარა ახლო-მეგობრული ურთიერთობები სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულ პირებთან (ხშირად გოლფს თამაშობდნენ ერთად), ასევე გამოიყენა მოსამართლის თანამდებობა მათზე არსებული გამოძიების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ასევე ერთ-ერთი მათგანისგან ინათხოვრა ძვირფასი ნივთი, რომლითაც ორი წელი სარგებლობდა | რანგის ჩამოქვეითება |
| 050 | 1988 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლემ ახლო ურთიერთობები დაამყარა ბრალდებულთან რომელიც დაკავებული იყო პროსტიტუციით. იყენებდა რა თავის თანამდებობრივ მდგომარეობას, ხშირად ინახულებდა ამ უკანასკნელს საპატიმრო დაწესებულებაში; ასევე იყენებდა პოლიციას არა სამსახურებრივი მიზნებისთვის; დაურეგისტრირებელი იარაღი შესანახად გადასცა ნასამართლობის მქონე პირებს | იმულებით პენსიაში გაშვება |
| 052 | 1990 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება, გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | სასჯელადსრულების მოსამართლე სასჯელის შემსუბუქების თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებდა სასჯელადსრულების კომისიასთან კონსულტაციების გარეშე (კანონით ეს დაიშვებოდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში, თუმცა მოსამართლე ამას აკეთებდა სისტემატურად) ასევე არ ატყობინებდა პროკურორს (რაც კანონით სავალდებულოა); მძლოლად იყენებდა მის მიერ პირობით გათავისუფლებულ პირს | სასჯელადსრულების მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა- პოსტის შეცვლა |
| 053 | 1990 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლემ დააგროვა დიდი ოდენობით ვალები სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციისგან რომელთა გასტუმრებას ვერ ახერხებდა; ამას დაამატა კიდევ ახალი ვალები; ასევე მოიტყუა ავტომანქანის დაზღვევის გაფორმების დროს განცხადების შევსებისას (თითქოს მას ავტოსაგზაო შემთხვევა არასოდეს განუცდია), ასევე გასცა არაუზრუნველყოფილი ჩეკები (სხვა ეპიზოდებთან ერთად) | პოსტის შეცვლა |

| | | | | |
|-----|------|--|--|--|
| 055 | 1991 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | გამოძიების მოსამართლეს ჰქონდა მნიშვნელოვანი დაყოვნებები საქმის წარმოებაში (ხანგრძლივი პერიოდები საგამოძიებო მოქმედებებს შორის) და უმოძრაო საქმეები | გამოძიების მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |
| 062 | 1992 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება) | (სხვა ეპიზოდებთან ერთად) სასამართლოს თავმჯდომარემ უფლებამოსილების შეწყვეტის მიუხედავად ხანგრძლივი ვადის განმავლობაში არ აბრუნებდა სამსახურებრივი ავტომატანას (დააბრუნა მხოლოდ სასამართლო ინსპექციის მოხელეთა მოთხოვნის შემდეგ) | პოსტის შეცვლა |
| 063 | 1992 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა -თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (კოლეგების მიმართ, მხარეების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, სხდომების ჩატარების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(სამოსამართლო ფუნქციების განხორციელების ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | (სხვა ეპიზოდებთან ერთად) მოსამართლე ათარიღებდა გადაწყვეტილებებს არა მათი გამოტანის, არამედ სხდომის ოქმის შედგენის თარიღით. გადაწყვეტილებებში გამორჩენილი იყო სავალდებულო რეკვიზიტები - მხარეები, სხდომის თარიღი; მოსამართლემ ასევე დაკარგა სხვადასხვა საქმეთა მასალები; მრავალ საქმეზე არ შეადგინა სხდომის ოქმი, რამაც გამოიწვია განაჩენთა გასაჩივრების შეუძლებლობა, შეაფერხა მათი კანონიერ ძალაში შესვლა და გამოიწვია აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლა; მოსამართლემ პროტესტი განაცხადა მისი ძირითადი სამსახურის დამატებით სხვა სასამართლოში სხდომების ჩატარებაზე. ის ხშირად მიზეზად იშველიებდა ავადმყოფობას, რომელიც სისტემატურად ემთხვეოდა ამ სასამართლოში ჩანიშნული სხდომების თარიღებს; განიხილა საქმე, სადაც ერთი მხარის ადვოკატი მასთან არაფორმალურ ქორწინებაში იმყოფებოდა; ასევე მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს წერილით სადაც ის რასისტად მოიხსენია; (საბჭომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს მიმართვა მოხდა წერილობით, ანუ სიტყვები წინასწარ იყო შერჩეული) | (საბჭომ ამ დარღვევების სისტემატურობისა და სიმძიმის გამო არ ჩათვალა საპატიო გარემოებად მოსამართლის გადატვირთულობა და დამხმარე საშუალებების ნაკლებობა) პოსტის შეცვლა - არასრულწლოვანთა მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა |
| 064 | 1992 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა იუსტიციის მიმართ - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლემ აიშენა გარაჟი, თუმცა მშენებელ კომპანიას მხოლოდ ფაქტურის წარდგენიდან 4 წლის შემდეგ გაუსწორა ანგარიში, მას შემდეგ რაც მის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური დევნა; ასევე ახლადშემენილი მეზობლისგან მიიღო უფასო მომსახურება (საცურაო აუზის მშენებლობისას); შემდგომში ის იძულებული გახდა ააცილებინა ეს საქმე, სადაც მეზობელი გამოდიოდა მხარედ | სანქცია არ დაეკისრა, ვინაიდან პენსიაში გავიდა |

| | | | | |
|-----|------|--|--|--|
| 069 | 1993 | <p>პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ პირობით გათავისუფლებულ პირთა დახმარების ფონდის ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე გადაიტანა და დახარჯა თანხები, ისე რომ მან ხარჯვის კანონიერება და მიზანშეწონილობა ვერ დაადასტურა (მას ჯეროვანი საბუღალტრო აღრიცხვა არ უწარმოებია) (მოსამართლემ ითხოვა დისციპლინური საქმისწარმოების შეჩერება მის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტამდე. საბჭომ ჩათვალა რომ ეს ორი სამართალწარმოება შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელდეს)</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე</p> |
| 068 | 1993 | <p>პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე დამნაშავედ იქნა ცნობილი მისი ადვოკატობის დროს ჩადენილი თაღლითობისა და დოკუმენტის გაყალბებისთვის. საბჭომ ჩათვალა რომ ეს შეუთავსებელია მოსამართლის ღირსებასთან</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე</p> |
| 071 | 1993 | <p>მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა -თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, კანონის დაცვის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>გადაწყვეტილების გამოტანა მნიშვნელოვანი დაყოვნებით (საქმის განხილვის დასრულებიდან 2 წლის შემდეგ); სასამართლო გადაწყვეტილებაში იყო მითითებული ორი მოსამართლე, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანის დროს აღარ მუშაობდნენ იმ სასამართლოში; მოსამართლე ერთი და იგივე საქმეს ხელოვნურად ატარებდა ჟურნალში დასრულებულად და შემდეგ ხელმეორედ არეგისტრირებდა ახალი ნომრით, რათა დაემალა საქმის გაჭიანურება; სხვა პოსტზე გადაყვანის მიუხედავად კანცელარიას არ გადააბარა საქმეები ისე, რომ ბევრ მათგანში გავიდა პასუხისმგებლობის დავისრების ხანდაზმულობის ვადა; ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა მისი გამოტანის თარიღი, რითაც საფრთხე შეუქმნა გასაჩივრების შესაძლებლობას; მოსამართლემ თავის თავზე დაიწერა და განიხილა საქმეები, რომელთა მიმართ გააჩნდა პირადი ინტერესი; (საბჭომ მიუთითა, რომ დატვირთულობა და პირადი პრობლემები არ ათავისუფლებენ მოსამართლეს პასუხისმგებლობისგან); იყო რა ასოციაციის თავმჯდომარე, მოსამართლემ არ აწარმოა ბუღალტერია ფინანსების ხარჯვისას</p> | <p>პოსტის შეცვლა – თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევა</p> |

| | | | | |
|-----|------|---|--|---------------------------------|
| 073 | 1993 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა იუსტიციის მიმართ -თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების და სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ) - სამოსამართლო ფიცის დარღვევა(გამომიების საიდუმლოების დაცვა) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება) - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>(სხვა ეპიზოდებთან ერთად) მოსამართლემ პროცედურების დარღვევით იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტიდან გაიღო ხარჯები, რომლებიც წესით თავდაცვის სამინისტროს უნდა გაეღო; საქმისწარმოების ოქმში გააკეთა ჩანაწერი, სადაც უპატივცემულოდ მოიხსენია ადვოკატი და მას უწოდა „საერთაშორისო თაღლითის თანამონაწილე; უპატივცემულოდ მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს; პრესაში უპატივცემულოდ მოიხსენია სასამართლო ხელისუფლება და მოსამართლეებს უწოდა კარიერისტები, რომლებსაც გამოაქვს ოპორტუნისტული გადაწყვეტილებები. ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას ბრალი დადო გამომიების მოსამართლის საბოტაჟში; პრესაში გამოთქვა მოსაზრებები მის წარმოებაში არსებულ საქმეზე</p> | საყვედური პირად საქმეში შეტანით |
| 074 | 1994 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა მესამე პირების მიმართ - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა- პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე (წითელზე გავლისას) არ დაემორჩილა პოლიციელის მოთხოვნას გაეჩერებინა ავტომანქანა (უთხრა რომ ის იყო მოსამართლე და რაგბის საყურებლად ეჩქარებოდა). როდესაც პოლიცია უკან დაედევნა, ის მან შეიპატიჟა საკუთარ სახლში და ახსნა განმარტება მისცა რაგბის მატჩის ყურების პარალელურად. (საბჭომ მიუთითა რომ მოსამართლემ კანონმორჩილების მაგალითი უნდა მისცეს სხვა მოქალაქეებს)</p> | საყვედური პირად საქმეში შეტანით |
| 076 | 1994 | <p>კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება)</p> | <p>გამომიების მოსამართლემ კანონის დარღვევით ბრალდებულისგან ხელზე აიღო გირაოს თანხა (35 000 ფრანკი), რომელიც შემდგომ დაკარგა მისი დაუდევრობის გამო</p> | პოსტის შეცვლა |

| | | | | |
|-----|------|--|--|--|
| 079 | 1974 | <p>მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - ნეიტრალობის ვალდებულების დარღვევა - თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (კოლეგების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ განიხილა საქმე იმის მიუხედავად, რომ ინტიმური ურთიერთობები ჰქონდა ერთ-ერთ მხარესთან (საბჭომ მიუთითა, რომ მოსამართლემ თავიდან უნდა აიცილოს მიუკერძოებლობის ეჭვიც). მან ასევე განაცხადა რომ ფარულად ჰქონდა ჩაწერილი მისი საუბარი მისივე კოლეგასთან რომლის გახმაურებას ის აპირებდა რათა დაემტკიცებინა მისი კოლეგის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების უკანონობა; მოსამართლე სამჯერ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება თავის საყვარლის ქმართან (მიუხედავად იმისა, კონფლიქტი ინიცირებული იყო ამ უკანასკნელის მიერ, საბჭომ ჩაუთვალა მოსამართლისთვის შეუფერებელ ქცევად)</p> | <p>იძულებით პენსიაში გაშვება</p> |
| 081 | 1994 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ) - სამოსამართლო ფიცის დარღვევა(გამოძიების საიდუმლოების დაცვა) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, კანონის დაცვის ვალდებულება) - ზომიერების და დაფიქრების ვალდებულების შეუსრულებლობა - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>(სხვა ეპიზოდებთან ერთად) საქმისწარმოების გაჭიანურება: გამოძიების მოსამართლეს საქმეები ჰქონდა უმოძრაოდ წლების განმავლობაში (საბჭომ ჩათვალა რომ მისი დატვირთვა იყო გონივრული, მას არ ჰქონია 100 საქმეზე მეტი წარმოებაში); საქმე, რომელიც მას ჩამოერთვა ჩააბარა რამდენიმე თვის დაგვიანებით; ასევე არ გააგრძელა პატიმრობები და 9-10 დღიან უკანონო პატიმრობაში ამყოფა ბრალდებულები; იმის მიუხედავად, რომ ზემდგომმა პალატამ საქმე ჩამოართვა, ის აგრძელებდა მის გამოძიებას; მოსამართლემ პრესასთან ინტერვიუში საჯაროდ გააკრიტიკა სასამართლო ხელისუფლება იმის გამო რომ მას უსაფუძვლოდ (იმის გამო რომ გარკვეულ პირებს ხელს აფარებენ) ჩამოართვეს მის წარმოებაში არსებული საქმეები; მოსამართლემ ასევე გაამყდანა დეტალები, რომლებიც წარმოადგენდა გამოძიების საიდუმლოებას</p> | <p>გამოძიების მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა</p> |
| 083 | 1995 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ, კოლეგების, ადვოკატების და მხარეთა მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მას შემდეგ, რაც კოლეგიის მოსამართლემ უარი თქვა გადაწყვეტილების დაწერაზე გადატვირთულობის მოტივით, ის შეადგინეს მისმა კოლეგებმა; მან ასევე უარი თქვა სამსახურში გამოცხადებაზე ზოგიერთი საგამომიებო შუამდგომლობის განსახილველად (პირადი აუცილებლობის მოტივით); ასევე გაავრცელა წერილი, სადაც აკრიტიკებდა საკუთარ კოლეგებს მათი პატივმოყვარეობის უგუნურების, სისულელის და სილაჩრის გამო; ასევე დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენია ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისადმი მიმართულ წერილში</p> | <p>თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|---|
| 090 | 1996 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | სასამართლოს თავმჯდომარემ ინტიმური ურთიერთობები სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სტაჟიორს, რომელთანაც ჰქონდა ინტიმური ურთიერთობები (საბჭო არ დაელოდა ამ საქმეზე მიმდინარე სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების დასრულებას, განიხილა საქმე და მიიღო გადაწყვეტილება) | თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევა; პოსტის შეცვლა |
| 089 | 1996 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლემ სასამართლოს ხარჯებით შეიძინა ნივთები პირადი სარგებლობისთვის, ასევე გააკეთა საკუთარი სახლის რემონტი, რაც გააფორმა სასამართლო ხარჯების სახით | თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეჩერებით |
| 096 | 1997 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლე 2 წლის განმავლობაში სარგებლობდა კერძო ავტოპარკის მანქანით, რისთვისაც ის ფულს არ იხდიდა; ამავე კომპანიის დირექტორი დაეხმარა მას ავტომანქანის შეძენაში (და დღგ-ს გადახდისგან მის გათავისუფლებაში); მოსამართლემ იგი მრავალჯერ დანიშნა ექსპერტად საკუთარ საქმეებზე; მოსამართლემ განიხილა საქმე, რომელშიც მხარეს წარმოადგენდა მისი მეგობარი და ამ უკანასკნელის კომპანია; მან ასევე განხილვაში მყოფ საქმეებზე სოციალურ აგენტად დანიშნა საკუთარი მეუღლე და დაუნიშნა მას ანაზღაურება | თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენება - პოსტის შეცვლა |
| 098 | 1998 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლე ხშირად ნიშნავდა საკუთარ არარეგისტრირებულ მეუღლეს (პარტნიორს) მეურვედ და უნიშნავდა მას ანაზღაურებას, ანიჭებდა უპირატესობას სხვა მეურვეებთან შედარებით | თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე |
| 110 | 2000 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (კოლეგების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება) | (სხვა ეპიზოდთან ერთად) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ შეიტანა განცხადება საკუთარ სასამართლოში მეურვეობის მოსამართლესთან. მოითხოვა საკუთარი არასრულწლოვანი შვილის ემანსიპაცია (სრული ქმედუნარიანობის მინიჭება) არასწორ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ⁱⁱ , რაც დაკმაყოფილდა | თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |

| | | | | |
|-----|------|--|---|---|
| 100 | 1999 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლემ გააყალბა სამედიცინო რეცეპტები მისთვის სასურველი წამლების მისაღებად, რისთვისაც ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლებრივი წესით და მიესაჯა ჯარიმა | რანგის ჩამოქვეითება - პოსტის შეცვლა |
| 101 | 1998 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, სხდომების ჩატარების ვალდებულება) - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | საქმისწარმოების გაჭიანურება: თვეობით და წლობით ჩაუნიშნავი საქმეები, გამოუცხადებელი და შეუდგენელი გადაწყვეტილებები; მოსამართლემ ასევე იცრუა სასამართლოს თავმჯდომარისთვის სტატისტიკური ანგარიშების მიწოდებისას, კერძოდ შეამცირა მის წარმოებაში არსებული დამთავრებული საქმეების რიცხვი (215 საქმე დააფიქსირა და 79 დაფარა) | რანგის ჩამოქვეითება - პოსტის შეცვლა |
| 102 | 1999 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება) | სექსუალური შევიწროება (სექსუალური ხასიათის მოქმედებები) ჩადენილი არასრულწლოვანი სტაჟიორის მიმართ. | რანგის ჩამოქვეითება |
| 107 | 2000 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, სხდომების ჩატარების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა (ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | (სხვა ბრალდებასთან ერთად) საქმეებზე თვეებით დაგვიანებით გადაწყვეტილებების გამოტანა, მხარეთა შუამდგომლობებზე პასუხების დაგვიანება, ჩანიშნულ სხდომებზე მიუსვლელობა (არ დადასტურდა რომ მოსამართლე წინასწარ აფრთხილებდა კანცელარიას ამის შესახებ) | ოლქის მოსამართლის ფუნქციების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |
| 109 | 2000 | მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა (ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლე, მთვალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისას გზიდან გადავარდა და ჩავარდა თხრილში; ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა 1 თვით პატიმრობა და ჯარიმა სისხლის სამართლის საქმეზე. | იძულებით პენსიაში გაშვება |

| | | | | |
|-----|------|---|---|-------------------------------------|
| 111 | 2000 | <p>დამოუკიდებლობის ვალდებულების დარღვევა; ფიცის დარღვევა (თათბირის საიდუმლოება); პატიოსნების ვალდებულების დარღვევა</p> | <p>მოსამართლემ დიდი ოდენობით თანხა აიღო სესხად ბიზნესმენისგან ყოველგვარი პროცენტის ან გაფორმების გარეშე; ასევე სამსახურებრივი ბლანკი და საკუთარი თანამდებობა გამოიყენა ამ პიროვნების სასარგებლოდ მესამე პირის მიერ ვალის დასაბრუნებლად; იყო რა კოლეგიის წევრი სისხლის სამართლის საქმეზე, მან თავის მეგობარს განაჩენის გამოტანამდე გაუმხილა, რომ არ იქნებოდა გამოყენებული საპატიმრო სასჯელი (საბჭომ ჩათვალა, რომ ამ საქმეზე მოსამართლემ დაარღვია თათბირის საიდუმლოება); ასევე გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა მეგობრის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მონაცემების მოსაპოვებლად;</p> | <p>იძულებით პენსიაში გაშვება</p> |
| 113 | 2001 | <p>ფიცისადმი ერთგულების დარღვევა (პროფესიული საიდუმლოს დარღვევა); მაგისტრატის ფუნქციებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა, პატიოსნების ვალდებულების დარღვევა</p> | <p>კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდა, რომ მოსამართლემ დაარღვია გამოძიების საიდუმლოება: მცირეწლოვნის დაკითხვის ოქმი (რომლითაც დასტურდებოდა პოლიტიკური ფიგურის მიერ მცირეწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის მოქმედებების ჩადენა) მან გააცნო მესამე პირს, რომელმაც შემდეგ ეს ინფორმაცია გამოიყენა თავისი პოლიტიკური ოპონენტის საწინააღმდეგოდ საარჩევნო კომპანიის საწარმოებლად.</p> | <p>ნებაყოფლობით გავიდა პენსიაში</p> |
| 115 | 2001 | <p>კანონიერების ვალდებულების დარღვევა, მაგისტრატის ფუნქციებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა, პატიოსნების ვალდებულების დარღვევა</p> | <p>საქმეთა გაჭიანურება, განსაკუთრებით გადაწყვეტილების გამოტანის სტადიაზე; ასევე, მას შემდეგ, რაც მოსამართლემ გამოაცხადა გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, ის რამდენიმე თვის შემდეგ მიუბრუნდა მხარეთა კამათს; მოსამართლემ ეს დაყოვნებები ახსნა იმით, რომ ის ცდილობდა გულისხმიერად შეესწავლა თითოეული საქმე</p> | <p>პოსტის შეცვლა</p> |
| 116 | 2001 | <p>პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ 15 წლის არასრულწლოვანს შეთავაზა სექსუალური ურთიერთობა, რაც დადგენილი იქნა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (მოსამართლემ ითხოვა საქმის განხილვის შეჩერება სტრასბურგის სასამართლოს მიერ მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვის გამო, თუმცა საბჭომ ჩათვალა რომ ეს არ არის შეჩერების საფუძველი)</p> | <p>საპატიო ტიტულის ჩამორთმევა</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|---|
| 117 | 2001 | <p>პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ მან ცემა და ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა საკუთარ პარტნიორს, ასევე ატარებდა არარეგისტრირებულ იარაღს</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით (ეს საქმე ადასტურებს იმას, რომ სისხლის სამართლებრივი მსჯავრდება ავტომატურად არ იწვევს მოსამართლის გათავისუფლებას)</p> |
| 119 | 2001 | <p>მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო გამოიწვია სხვადასხვა ინციდენტი სასამართლოს შენობაში</p> | <p>პოსტის შეცვლა</p> |
| 121 | 2002 | <p>სამოსამართლო ფიცის დარღვევა(პროფესიული საიდუმლოს დაცვის ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება)</p> | <p>მოსამართლე, რომელიც იყო მასონური გაერთიანების წევრი იყენებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას სისხლის სამართლის საქმეებიდან საკუთარი გაერთიანებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლადⁱⁱⁱ (თავად მასონური გაერთიანების წევრობა არ გამხდარა ბრალდების საფუძველი)</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით</p> |
| 122 | 2002 | <p>მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე სურათებს უღებდა შიშველ ან ნახევრად შიშველ არასრულწლოვნებს (ზოგიერთი მათგანი იყო სასამართლოს სტაჟიორი, ხოლო ზოგი სურათი გადაღებული იყო სხდომის დარბაზში) საბჭომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოსამართლე თავის თანამდებობას იყენებდა პოტენციური კანდიდატების მოსაზიდად. (საინტერესოა, რომ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე უკანონოდ ცნობილი მტკიცებულება (ამოღებული სურათები) სასამართლომ დასაშვებად ცნო დისციპლინურ საქმეზე) (ასევე არ ჩათვალა პასუხისმგებლობის გამომრიცხავად ის, რომ სურათები გადაღებული იყო საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას (სხდომის დარბაზებში, არასრულწლოვნების თანხმობით და მოსამართლეს ჰქონდა შემოქმედებითი მიზნები)</p> | <p>პოსტის შეცვლა</p> |

| | | | | |
|-----|------|--|---|---|
| 127 | 2003 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (კოლეგების მიმართ, მესამე პირების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება) | მოსამართლემ, მას შემდეგ, რაც მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, დატოვა შემთხვევის ადგილი და არ დაელოდა პოლიციის მოსვლას. მას შემდეგ რაც მან პოლიციამ სახლში მიაკითხა, ის არ დაემორჩილა მოთხოვნას ნასვამობაზე შემოწმების თაობაზე და განაცხადა რომ ავტოავარიის შემდეგ სახლში მიიღო ორი ჭიქა ალკოჰოლი. | პოსტის შეცვლა |
| 130 | 2004 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | გამომიების მოსამართლის მიერ მრავალრიცხოვანი საქმეების გაჭიანურება (სამი წლის განმავლობაში უმოძრაოდ მყოფი საქმეები), ასევე საქმეთა აღრიცხვის სისტემის იგნორირება, რაც შეუძლებელს ხდიდა საქმეთა პროგრესის მონიტორინგს; (მოსამართლეს მრავალჯერ მიეცა შესაბამისი გაფრთხილება ხელმძღვანელობის მხრიდან) (ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სახელმწიფოს საბჭოში და გაუქმდა და დაბრუნდა ხელახლა განსახილველად იმის გამო, რომ მაგისტრატურის საბჭოს ერთ-ერთ წევრს აზრი ჰქონდა წინასწარ გამოთქმული ამ საქმეზე) | საპატიო ტიტულზე უარი |
| 131 | 2004 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მხარეების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | არასრულწლოვანთა მოსამართლემ საკუთარ კაბინეტში სექსუალური კავშირი შესთავაზა არასრულწლოვნის მშობელს (ორი ეპიზოდი) | არასრულწლოვანთა მოსამართლის ფუნქციების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |
| 135 | 2004 | პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება) | მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა განაცხადა ხმაურიანი პროტესტი მოსამართლის მიერ გამოცხადებულ სასჯელზე, მოსამართლემ შეცვალა სასჯელი და ის გააორმაგა; მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, მაგრამ მას შემდეგ, როცა პროკურორი გავიდა დარბაზიდან, მოსამართლემ შეცვალა გადაწყვეტილება და პირს შეუფარდა არასაპატიმრო ადვოკატის ღონისძიება | საბჭომ არ შეუფარდა სასჯელი, ვინაიდან გამოიყენა ამნისტია |

| | | | | |
|-----|------|---|--|--|
| 136 | 2004 | <p>დამოუკიდებლობის დაცვის ვალდებულების დარღვევა - მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - ნეიტრალობის ვალდებულების დარღვევა - სიფრთხილის ვალდებულების დარღვევა - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, კანონის დაცვის ვალდებულება) - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>(სხვა ეპიზოდებთან ერთად) მოსამართლემ დაამყარა პერსონალური ურთიერთობები სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირთან, რომელიც ასევე შემჩნეული იყო ასევე ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში, აძლევდა მას იურიდიულ რჩევებს;</p> <p>მოსამართლე ინარჩუნებდა ახლო-მეგობრულ ურთიერთობებს კერძო კომპანიის ხელმძღვანელთან, მაშინ, როდესაც აწარმოებდა გამოძიებას მისი მამის წინააღმდეგ.</p> <p>ადვოკატის დახმარებით, რომელსაც ნათესაური ურთიერთობები ჰქონდა მთავრობის წევრთან, მოსამართლე შეეცადა მიეღწია საკუთარი დაწინაურებისათვის (საბჭომ ჩათვალა რომ შეილახა მოსამართლის რეპუტაცია ადვოკატების თვალში);</p> <p>პროცესის ფარგლებს გარეთ შეხვდა და მოუსმინა მოწმეებს სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე ეცადა დაეფარა მისი კოლეგის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც შემჩნეული იყო ნარკოტიკების მოხმარებაში;</p> | <p>იძულებით პენსიაში გაშვება</p> |
| 137 | 2004 | <p>სამოსამართლო ფიცის დარღვევა(გამოძიების საიდუმლოების დაცვა) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>გამოძიების მოსამართლემ მესამე პირს გაანდო გამოძიების ინფორმაცია, კერძოდ ბრალდებულის ჩვენებების შინაარსი</p> | <p>ამნისტირებული იქნა და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან</p> |
| 139 | 2005 | <p>კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა მნიშვნელოვანი გაჭიანურებები საქმეთა განხილვისას (ზოგ საქმეზე 1 წელზე მეტი მხარეთა კამათიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე); (მოსამართლემ თავი იმართლა საქმეთა დიდი რაოდენობით, თუმცა საბჭომ მიუთითა, რომ მოსამართლეს უნდა შეეძლოს თვეში 15-20 გადაწყვეტილების გამოტანა)</p> | <p>თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა</p> |

| | | | | |
|-----|------|--|---|--|
| 141 | 2005 | <p>კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, სხდომების ჩატარების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა (ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები, ოლქში ცხოვრების ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლეს ჰქონდა მნიშვნელოვანი დაყოვნებები საქმეთა წარმოებისას, რაც ასევე გამოწვეული იყო სამსახურის ადგილას ცხოვრების ვალდებულების დარღვევით. დაყოვნებები არ იყო გამოწვეული მოსამართლის დატვირთულობით, არამედ მისი პერსონალური პრობლემებით და მისი უკმაყოფილებით მოცემულ ადგილას მისი გამწესების გამო;</p> <p>მოსამართლეს ჰქონდა დავალიანება კერძო პირების წინაშე, რომელსაც არ იხდიდა, რის გამოც მათ უჩივლეს საკუთარ სასამართლოში. საბჭომ აღნიშნა, რომ ეს არის კერძო ცხოვრების სფერო, თუმცა მოცემულ შემთხვევაში უკვე შეეხო მოსამართლის ავტორიტეტს.</p> <p>მოსამართლემ საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილება (ბლანკიანი ქაღალდი) გამოიყენა კერძო ხასიათის დავაში თავის სასარგებლოდ დოკუმენტაციის მოსაპოვებლად.</p> | <p>იძულებით პენსიაში გაშვება</p> |
| 145 | 2006 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>სასამართლოს თავმჯდომარე იყენებდა მართვის უხეშ მეთოდებს, შეურაცხმყოფელ გამოთქმებს და შოკისმომგვრელ კომენტარებს პერსონალის ფიზიკურ გარეგნობასთან დაკავშირებით;</p> | <p>საბჭომ გაითვალისწინა, რომ მოსამართლემ აჩვენა კარგი პროფესიული უნარები კარიერის დასაწყისში.</p> <p>თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევა</p> |
| 146 | 2006 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მხარეების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>არასრულწლოვანთა მოსამართლე განმარტოებით აშიშვლებდა არასრულწლოვნებს ჩხრეკის ჩატარების საბაბით (რისი უფლებაც მას არ ჰქონდა); ასევე განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედებები არასრულწლოვანთა მიმართ</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე</p> |

| | | | | |
|-----|------|--|--|---|
| 147 | 2006 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა მნიშვნელოვანი დაყოვნებები საქმეთა წარმოებისას (ზოგ შემთხვევაში რამდენიმე წლის შუალედი საქმის განხილვის დასრულებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე); ის ასევე არ ახდენდა რეაგირებას კოლეგების მიერ საქმეთა გაჭიანურებაზე და გამოიჩინა უუნარობა ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისას | თავმჯდომარის უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |
| 149 | 2006 | ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) | საგამომიებო მოსამართლემ სასამართლოს თავმჯდომარეს არ წარუდგინა, ან ზოგ შემთხვევაში დაგვიანებით წარადგინა წერილობითი მოხსენებები მის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით; | საყვედური პირად საქმეში შეტანით |
| 150 | 2006 | მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატოსნების ვალდებულების დარღვევა (მოსამართლის ღირსების გაფრთხილების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | აღკოპოლზე დამოკიდებულების გამო მოსამართლემ გამოიწვია ინციდენტები სასამართლოს შენობაში და მის გარეთ; ასევე დაკარგა ფუნქციონირების უნარი და მას საქმეს აღარ ანდობდნენ | რანგის ჩამოქვეითება - პოსტის შეცვლა |
| 154 | 2006 | პატოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლემ სამსახურში მიღების წინ დამალა ის ფაქტი, რომ ის უწინ გათავისუფლებული იყო პოლიციის კომისრის თანამდებობიდან სამსახურში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო | ადგილობრივი მოსამართლის ფუნქციების ჩამორთმევა |
| 152 | 2006 | მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - ფიცის დარღვევა (პროფესიული საიდუმლოების დაცვა) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, კანონის დაცვის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | (სხვა ბრალდებასთან ერთად) მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა დიდი ხნის უმოძრაო საქმეები, რაც ვერ გამართლდებოდა საქმეთა სიმრავლით ან კანცელარიის ცუდი მუშაობით; გამომიების მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით ჩაატარა საგამომიებო მოქმედებები საქმეზე, რომელიც მის წარმოებაში არ იმყოფებოდა (საქმე ეხებოდა მეგობრის შვილის თვითმკვლელობას); ამავე საქმეზე წინასწარი შეხედულებები გაუზიარა ჟურნალისტს იმის შეცნობით, რომ არსებობდა ამ ინფორმაციის გახმაურების რისკი; კონკრეტულ საქმეზე სამართლებრივი რჩევა მისცა მხარეს და შემდეგ ეს საქმე თავად მიიღო წარმოებაში; | გამომიების მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა - პოსტის შეცვლა |

| | | | | |
|-----|------|--|---|--|
| 156 | 2007 | <p>მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მორალის დაცვის ვალდებულება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ ინტერნეტიდან გადმოწერა და შეინახა არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შემცველი მასალები;</p> <p>მან ასევე არ აიცილა არასრულწლოვანთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმე, რომლის მასალებშიც აღმოაჩინა საკუთარი პერსონალური მონაცემები;</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე</p> |
| 160 | 2007 | <p>მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მხარეების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, თავშეკავების ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>გამოძიების მოსამართლემ საკუთარ კაბინეტში სექსუალური კავშირი დაამყარა მხარეებთან ან მხარეთა ნათესავებთან მის მიერ მიცემული იურიდიული რჩევების ან მათ სასარგებლოდ შესრულებული საპროცესო მოქმედებების სანაცვლოდ; ასევე იურიდიული კონსულტაცია მისცა მხარეებს სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც შემდეგ თავად მიიღო წარმოებაში და არ აიცილა; ასევე მან გარეშე პირი (საყვარელი) დაასწრო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას (გვამის აუტოპსიას)</p> | <p>იძულებით პენსიაში გაშვება</p> |
| 162 | 2008 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ, კოლეგების მიმართ, მხარეების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება, სხდომების ჩატარების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა (ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების მოფრთხილების ვალდებულება), მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე ხშირად არ ცხადდებოდა სხდომებზე და სასამართლოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე უკან დაუბრუნა საქმე, რომელიც მას დაეწერა (მოსამართლემ თავი იმართლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, თუმცა საბჭომ მიუთითა, რომ მისი გამოჯანმრთელების შემდეგაც ის აგრძელებდა თავის მოქმედებებს);</p> <p>მოსამართლე ასევე არ გამოცხადდა სხდომებზე, რომლებიც ტარდება რეგულარულად მოსამართლის შეფასების მიზნით</p> | <p>იძულებით პენსიაში გაშვება</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|---|
| 164 | 2009 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (კოლეგების მიმართ, სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ, მხარეების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება) | არასრულწლოვანთა მოსამართლე ამცირებდა სოციალურ მუშაკებს მხარეების თვალწინ, ეჭვი შეჰქონდა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაში; ამცირებდა და ავიწროებდა კანცელარიის თანამშრომლებს | პოსტის შეცვლა - არასრულწლოვანთა მოსამართლეობის აკრძალვა 3 წლით |
| 168 | 2009 | სიფრთხილის ვალდებულების დარღვევა - თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მესამე პირების მიმართ) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლემ სასამართლოს შენობაში დაკარგა მისი ხელნაწერი ფურცელი, რომელიც ადასტურებდა, რომ იურისტთა ასოციაციის წევრები, მათ შორის მაგისტრატები სექსუალური ტურიზმით იყვნენ დაკავებული; ეს ფურცელი აღმოჩნდა მედიის ხელში და გახმაურდა; მოსამართლე, რომელსაც საჯარო ადგილას ჰქონდა ინტიმური ხასიათის ურთიერთობები გათხოვილ ქალთან, გახდა მის ქმართან ფიზიკური დაპირისპირების მსხვერპლი; (საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ მოსამართლე ასეთ ურთიერთობებს ამყარებდა საჯარო ადგილას) | პოსტის შეცვლა |
| 169 | 2009 | კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება) - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა (ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება) | გამომიების მოსამართლის წარმოებაში არსებობდა დიდი რაოდენობით გაჭიანურებული საქმეები (100 ზე მეტი), რომელთაგან ზოგიერთზე არ ჩატარებულა საგამომიებო მოქმედება 3 წლის განმავლობაში; ის ასევე საპროცესო მოქმედებათა ჟურნალში აღრიცხავდა ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მას რეალურად არ განუხორციელებია; ასევე მრავალი დადგენილება არ ჰქონდა გაცემული აღსასრულებლად | იძულებით პენსიაში გაშვება |
| 173 | 2009 | თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მხარეების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (თავშეკავების ვალდებულება, სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | მოსამართლის მიერ სამოქალაქო საქმეთა გაჭიანურება; მოსამართლემ ეს ახსნა თავისი გამოუცდელიობით, საქმეთა დიდი რაოდენობით და მოსამართლის მონდომებით, რომ ყველა საქმე დეტალურად შეესწავლა; საბჭომ ხაზი გაუსვა მოსამართლის არაორგანიზებულობას საქმეთა თავის გართმევისას; მან ასევე მიუთითა, რომ სხვა მოსამართლეები წარმატებით ართმევდნენ თავს მსგავს დატვირთვას; მოსამართლემ ასევე დაარღვია დისტანციისა და თავშეკავებულობის ვალდებულება მხარესთან ურთიერთობისას | პოსტის შეცვლა - ერთპიროვნულად საქმეების განხილვის აკრძალვა 5 წლით |

| | | | | |
|-----|------|--|--|--|
| 175 | 2010 | <p>მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ</p> | <p>მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაზე მეტ ხანს ამყოფა ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში (თუმცა საბჭომ ამ ნაწილში პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა, ვინაიდან მისი ქმედება არ იყო განზრახი)</p> <p>ნაფიც მსაჯულთა სიის შედგენისას მოსამართლემ სასამართლოს თავმჯდომარეს დაუმალა, რომ მას ინტიმური კავშირი ჰქონდა ერთ-ერთ პოტენციურ მსაჯულთან (ეს ინფორმაცია დამალა მისი გახმაურების თავიდან აცილების მიზნით)</p> | <p>პოსტის შეცვლა</p> |
| 177 | 2010 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ, მხარეების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (სხდომების ჩატარების ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე ხშირად შედიოდა პროცესზე მთვრალ მდგომარეობაში, რის გამოც მას საუბარი უჭირდა (სხდომის მდივანს მიმართავდა მეტსახელით, მდებდრობითი სქესის სხდომის მონაწილეს მიმართავდა ბატონობით) ასევე ხშირად აგვიანებდა ან აცდენდა სამსახურს, რის გამოც საჭირო ხდებოდა მისი ჩანაცვლება სხვა მოსამართლით</p> | <p>რანგის ჩამოქვეითება - პოსტის შეცვლა</p> |
| 178 | 2010 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ, მესამე პირების მიმართ) - კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (გულისხმიერების ვალდებულება, გადაწყვეტილებების შედგენის ვალდებულება) - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე ხელს უშლიდა თავმჯდომარის მიერ მის წარმოებაში არსებული საქმეების მსვლელობის კონტროლს; დაგვიანებით წერდა სასამართლო გადაწყვეტილებებს და ხელს აწერდა სხდომის ოქმებს; სასამართლოს ხელმძღვანელობას მისწერა წერილი, რომელშიც ეჭვქვეშ დააყენა სასამართლოს თავმჯდომარის პროფესიული თვისებები; ასევე სასამართლოს შენობაში ჟანდარმებს მიმართა არაჯეროვანი გამოთქმებით;</p> | <p>გამომიების მოსამართლის ფუნქციების ჩამორთმევა, პოსტის შეცვლა</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|---|
| 179 | 2010 | <p>მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - ნეიტრალობის ვალდებულების დარღვევა - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა(ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები) - პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ არ აიცილა საქმე, რომელშიც განსასჯელი იყო მისი დის ყოფილი შეყვარებული; ამავე საქმეზე ის ცალმხრივად ტელეფონით ესაუბრებოდა განსასჯელს და აძლევდა მას სხვადასხვა ინფორმაციას და რჩევებს საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მან ასევე ჰკითხა ამ უკანასკნელს ციხეში ხომ არ იცნობდა ვინმე პატიმარს, რომელიც მისი დის მოძალადეს ფიზიკურად გაუსწორებოდა (ეს საუბარი ჩაიწერა პოლიციამ სხვა საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში)</p> | <p>საბჭომ სანქციის შეფარდებისას ასევე გაითვალისწინა ის, რომ მოსამართლე ვერ აცნობიერებს საკუთარი ქმედების სიმძიმეს იძულებით პენსიაში გაშვება</p> |
| 181 | 2010 | <p>პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ღირსების შენარჩუნების ვალდებულება - მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლე, რომელიც შეპყრობილი იყო ალკოჰოლიზმით, ხშირად ცემდა საკუთარ მეუღლეს. ერთ-ერთი ინციდენტის დროს მან დანით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა მას; აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა დისციპლინური პროცესი დამოუკიდებლად წარიმართა</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე</p> |
| 183 | 2010 | <p>კანონიერების დაცვის ვალდებულების დარღვევა (კანონის დაცვის ვალდებულების დარღვევა, პენსიაში გასული მაგისტრატის მიერ კანონით დადგენილი წესების დარღვევის გამო)</p> | <p>ყოფილმა მოსამართლემ განახორციელა ანაზღაურებადი იურიდიული მომსახურება იმ ოლქში, სადაც ის იყო მოსამართლედ (რითაც დაარღვია კანონი, რომელიც უკრძალავს ყოფილ მოსამართლეებს ამ საქმიანობის განხორციელებას საკუთარ ოლქში თანამდებობის დატოვებიდან 5 წლის განმავლობაში) ასევე დაარღვია კანონი, რომლის თანახმადაც ყოფილმა მოსამართლემ კერძო პროფესიული საქმიანობის დაწყებიდან 2 თვით ადრე ამის შესახებ უნდა აცნობოს იუსტიციის მინისტრს</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეწყვეტის გარეშე (საბჭომ გაითვალისწინა მისი წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობა სასამართლოში და არ ჩამოართვა მას საპატიო მოსამართლის ტიტული)</p> |
| 184 | 2010 | <p>ვალდებულების დარღვევა, რომლის თანახმადაც მოსამართლემ თავისი საქმიანობით უნდა განამტკიცოს მოქალაქეების ნდობა- პატიოსნების ვალდებულების დარღვევა (მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულების დარღვევა) - ვალდებულება განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები</p> | <p>მოსამართლეს ჰქონდა მნიშვნელოვანი დავალიანება (ბინის ქირის გადაუხდელობის გამო), რის თაობაზეც მოსარჩელემ უჩივლა საკუთარ სასამართლოში, ასევე საჩივარი შეიტანა დისციპლინური წესით. გამოძიების მოსამართლეს ჰქონდა მრავალი საქმე, რომლებზეც თვეებისა და წლების განმავლობაში არ ჩაუტარებია არავითარი მოქმედება (ზოგიერთ მათგანზე ხანდაზმულობის ვადა იყო უკვე გასული) საბჭომ გაითვალისწინა ის, რომ კოლეგიაში გადაყვანის შემდეგ მოსამართლემ გამოასწორა თავისი საქმიანობა</p> | <p>5 წლით აეკრძალა ერთპიროვნულად საქმის განხილვა</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|---|
| 185 | 2010 | ვალდებულების დარღვევა მოსამართლემ განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები (პუნქტუალობის და პასუხისმგებლობის გრძნობის ნაკლებობა) | გამოძიების მოსამართლეს ჰქონდა საქმეები მიტოვებული უყურადღებოდ, ის ასევე არ აქცევდა ინფორმაციას ბრალდებულებს საქმის მიმდინარეობის თაობაზე | პოსტის შეცვლა – გამოძიების მოსამართლის უფლებამოსილების ჩამორთმევა |
| 186 | 2010 | დამოუკიდებლობის ვალდებულების დარღვევა (სიფრთხილის ვალდებულების და მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა) - მოსამართლის ვალდებულება განუმტკიცოს რწმენა მოქალაქეებს მართლმსაჯულების მიმართ (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება - მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება - სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა ნდობის მოფრთხილების ვალდებულება) | მოსამართლე ექსპერტად ხშირად ნიშნავდა საკუთარ ძმას და უნიშნავდა მას ხარჯების ანაზღაურებას; მოსამართლე იურიდიულ რჩევებს აძლევდა საკუთარ მეგობარს, რომელიც ჩართული იყო პორნოგრაფიულ ბიზნესში | იძულებით პენსიაში გაშვება |
| 192 | 2011 | პროფესიული ვალდებულებების დარღვევა (მოსამართლის სტატუსთან დაკავშირებული ვალდებულებები) - ვალდებულების დარღვევა, რომლის თანახმად მოსამართლემ მისი საქმიანობით უნდა განამტკიცოს მოქალაქეთა ნდობა (პატიოსნების ვალდებულების დარღვევა; სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება) | ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო მოსამართლემ ჩაიდინა გადაცდომები როგორც სამსახურში, ასევე მის გარეთ. კერძოდ, ის დაჯარიმდა ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისათვის და ჩამოერთვა მართვის მოწმობა 18 თვით; ასევე გამოიწვია ინციდენტები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას | იძულებით პენსიაში გაშვება |
| 193 | 2011 | სიფრთხილის ვალდებულების დარღვევა - კანონის დაცვის ვალდებულება - ერთგულების ვალდებულების დარღვევა იერარქიულად ზემდგომ საფეხურზე მყოფი პირების მიმართ - მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულების დარღვევა- პატიოსნების ვალდებულების დარღვევა - სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება | მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ კოლეგიის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად შეცვალა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. შემდეგ ის ცალმხრივად, ფარულად შეხვდა საქმეში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს და თხოვა დაემოშმინებინა მისი ადვოკატი, რომელიც იმუქრებოდა დისციპლინური საჩივრის შეტანით | იძულებით პენსიაში გაშვება |

| | | | | |
|-----|------|---|--|---|
| 198 | 2012 | <p>პროფესიული ვალდებულებების დარღვევა (თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ, მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა) - ვალდებულება, რომ მოსამართლემ უნდა განუმტკიცოს მოქალაქეებს ნდობა მართლმსაჯულების მიმართ (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება, სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება)</p> | <p>მოსამართლემ პროკურატურიდან და პოლიციიდან გამოითხოვა მისი მეგობრების სისხლის სამართლის საქმეები (რომლებიც მის განსჯადობას არ განეკუთვნებოდა), თუმცა არ დადასტურდა მათ მიმართ იურიდიული დახმარების გაწევა. საბჭომ ჩათვალა რომ მან სამოსამართლო უფლებამოსილება გამოიყენა პირადი მიზნებისთვის</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით</p> |
| 199 | 2012 | <p>პროფესიული ვალდებულებების დარღვევა (მაგისტრატის სტატუსთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევა) - მოსამართლის ვალდებულება განუმტკიცოს რწმენა მოქალაქეებს მართლმსაჯულების მიმართ (სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება - მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება)</p> | <p>კოლეგიის წევრი მოსამართლე, რომელიც დაგვიანებით შევიდა საქმის განხილვაზე იყო მთვრალ მდგომარეობაში, რაც დასტურდებოდა იმით რომ მას მანტიის ღილების შეკვრა გაუჭირდა. ეს შენიშნეს მხარეებმა და გახმაურდა ადგილობრივ პრესაში; ასევე მოსამართლე ნასვამ მდგომარეობაში შევიდა სათათბირო ოთახში. მისმა კოლეგებმა დააფიქსირეს, რომ მას უჭირდა წონასწორობის შენარჩუნება და წარმოთქვამდა გაუგებარ ფრაზებს</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეჩერებით</p> |
| 200 | 2012 | <p>პროფესიული ვალდებულებების დარღვევა (თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა მხარეების მიმართ სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ) - მოსამართლის ვალდებულება მოქალაქეებს განუმტკიცოს რწმენა მართლმსაჯულების მიმართ; სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება – თავშეკავების ვალდებულება)</p> | <p>საბჭომ ჩათვალა, რომ უწყინარი ხუმრობა პროკურორის ასაკთან დაკავშირებით არ აღწევდა დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის ხარისხს, ასევე არ ჩაუთვალა მოსამართლეს დისციპლინურ გადაცდომად ფამილარული ხუმრობები სასამართლოს პერსონალთან, თუმცა დისციპლინურ გადაცდომად ჩაუთვალა ხუმრობა ადვოკატის ქმრის ეროვნებასთან და შვილის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით (თქვენც არ ჩანხართ წარმატებული, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თქვენი ქმარი სენეგალელია და თქვენი ქალიშვილი ლესბოსელი“. ასევე გადაცდომად ჩაუთვალა ხუმრობა ბრალდებულის სიმსუქნესთან დაკავშირებით (თქვენი გარეგნობიდან გამომდინარე ვერ დავიჯერებ რომ კარგი ჭამა არ გიყვართ)</p> <p>მოსამართლემ თავის კაბინეტში დაიბარა თავისი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი (ასევე ადვოკატი) და უსაყვედურა დისციპლინურ საქმეზე მის წინააღმდეგ არაპირდაპირი ჩვენების მიცემა</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით</p> |

| | | | | |
|-----|------|---|---|--|
| 201 | 2012 | <p>პროფესიული ვალდებულებების დარღვევა (საკუთარი კოლეგების პატივისცემის ვალდებულების დარღვევა სამართალწარმოებაში მონაწილე კოლეგების მიმართ) - მოსამართლის ვალდებულება განუმტკიცოს რწმენა მოქალაქეებს მართლმსაჯულების მიმართ (ვალდებულება იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლის ფუნქციების ბოროტად გამოყენება; მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ერთგულების ვალდებულება)</p> | <p>სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის თავმჯდომარემ სხდომის დარბაზში გამოაცხადა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება (არასრულწლოვანის წინასწარი პატიმრობისგან გათავისუფლების თაობაზე); საბჭომ ჩათვალა, რომ მან დაარღვია კოლეგიის თავმჯდომარის ვალდებულება, ასევე თავისი კოლეგების პატივისცემის ვალდებულება</p> | <p>საბჭომ გაითვალისწინა მოსამართლის მიერ სამოსამართლო კარიერისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმი</p> <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით</p> |
| 207 | 2013 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა მხარეების მიმართ-თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა მესამე პირების მიმართ- (გულისხმიერების ვალდებულება) - მოსამართლის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა; სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება - მოსამართლის ვალდებულების დარღვევა შეინარჩუნოს მოქალაქეთა ნდობა</p> | <p>გადაწყვეტილებათა გამოცხადების დაყოვნება დიდი ხნით, მხარეებისათვის გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შეტყობინების გარეშე; კანცელარიაზე გადაწყვეტილებათა ჩაბარება უკანა თარიღით; ფინანსური დავალიანებები, რამაც გამოიწვია მოსამართლის გამოძევება ბინიდან ქირის გადაუხდელობის გამო და ხელფასის დაყადაღება</p> | <p>გამოძიების მოსამართლის უფლებამოსილების აკრძალვა 2 წლით, პოსტის შეცვლა</p> |
| 213 | 2014 | <p>ნეიტრალობის ვალდებულების დარღვევა - მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა- მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება - თავშეკავების ვალდებულება</p> | <p>ერთ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მოსამართლე და კოლეგიის წევრი პროკურორი ერთმანეთს ფამილარულად ესაუბრებოდნენ ტვიტერის მეშვეობით, რაც ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისთვის და გახმაურდა მედიაში</p> | <p>საყვედური პირად საქმეში შეტანით</p> |
| 214 | 2014 | <p>თავაზიანობის ვალდებულების დარღვევა (მესამე პირთა მიმართ) - მართლმსაჯულების ღირსების დაცვის ვალდებულება - მაგისტრატის სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა- სამოსამართლო ღირსების დაცვის ვალდებულება - მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნების ვალდებულება</p> | <p>მოსამართლე ინტერნეტის საშუალებით ესაუბრებოდა 12-13 წლის გოგონებს რომლებიც ვებკამერის წინ შიშვლდებოდნენ; არ დასტურდება მოსამართლის მიერ ამის საფასურად ფულის გადახდა</p> | <p>თანამდებობიდან გადაყენება პენსიაზე უფლების შეჩერებით</p> |

ⁱ [http://www.cdg59.fr/fileadmin/Services/AdminCarrieres/Fiches INFO/FICHE INFO 4 - Les sanctions disciplinaires.pdf](http://www.cdg59.fr/fileadmin/Services/AdminCarrieres/Fiches_INFO/FICHE_INFO_4_-_Les_sanctions_disciplinaires.pdf)

<http://www.cdg86.fr/Datas/Fiche%20Discipline%20-%20sanction%20du%201er%20gpe.pdf>

<http://www.larousse.fr/dictionnaires/francais/d%C3%A9placement/23793>

http://www.ugff.cgt.fr/ancien/pdf/fonct_publ_107_7.pdf

ⁱⁱ თითქოს მისი შვილი იყო პილოტი, საზღვარგარეთ ხშირად დადიოდა და უვლიდა საკუთარ საჯინბოს)

ⁱⁱⁱ ინფორმაციას წევრობის კანდიდატების შესახებ